

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით
საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის
შესახებ მრავალმხრივი კონვენციისა და
საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის
შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და
გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების

სინთეზირებული ტექსტი

ზოგადი განმარტება სინთეზირებული ტექსტის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სინთეზირებულ ტექსტს საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ 2011 წლის 24 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმების (შემდგომში - „შეთანხმება“) გამოყენების მიზნით, საქართველოსა და ინდოეთის მიერ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით 2017 წლის 7 ივნისს ხელმოწერილ საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ მრავალმხრივი კონვენციის (შემდგომში - “მრავალმხრივი კონვენცია“) საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოსა და ინდოეთის კომპეტენტური უწყებების მიერ ერთობლივად იქნა მომზადებული და წარმოადგენს მრავალმხრივი კონვენციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ერთობლივ ინტერპრეტაციას.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულ იქნა 2019 წლის 29 მარტს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას საქართველოს მიერ წარდგენილი პოზიციისა და 2019 წლის 25 ივნისს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას ინდოეთის მიერ წარდგენილი პოზიციის საფუძველზე. მრავალმხრივი კონვენციის აღნიშნული პოზიციები ექვემდებარება ცვლილებებს მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად. მრავალმხრივი კონვენციის პოზიციების ცვლილებებმა, შესაძლოა გამოიწვიოს მრავალმხრივი კონვენციის მოქმედების ცვლილება შეთანხმებასთან მიმართებით.

შეთანხმებისა და მრავალმხრივი კონვენციის ავთენტურ სამართლებრივ ტექსტებს გააჩნია უპირატესი ძალა და ინარჩუნებს მოქმედი სამართლებრივი ტექსტების სტატუსს.

წინამდებარე დოკუმენტში მრავალმხრივი კონვენციის დებულებები, რომლებიც მოქმედებს შეთანხმების დებულებათა მიმართ, ასახულია გრაფებში შეთანხმების შესაბამისი დებულებების კონტექსტიდან გამომდინარე. გრაფები, რომლებიც ასახავს

მრავალმხრივი კონვენციის დებულებებს, როგორც წესი, განლაგებულია შეთანხმების დებულებათა თანმიმდევრობის შესაბამისად.

მრავალმხრივი კონვენციის დებულებების ტექსტში ცვლილებები განხორციელდა იმისთვის, რომ მრავალმხრივ კონვენციაში გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში იყოს შეთანხმების ტერმინოლოგიასთან, (როგორცაა „გავრცელების სფეროში შემავალი შეთანხმება“ და „შეთანხმება“, „ხელშემკვრელი იურისდიქცია“ და „ხელშემკვრელი სახელმწიფო“) მრავალმხრივი კონვენციის დებულებების გაგების გამარტივების მიზნით. ტერმინოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების მიზანია დოკუმენტის სიცხადის გაზრდა და ის არ გულისხმობს მრავალმხრივი კონვენციის დებულებების შინაარსის ცვლილებას. ანალოგიურად, ცვლილებები განხორციელდა მრავალმხრივი კონვენციის დებულებების იმ ნაწილებში, რომლებიც აღწერს შეთანხმების არსებულ დებულებებს: მეტი სიცხადისთვის, აღწერილობითი ტექსტი ჩანაცვლდა არსებულ დებულებებზე სამართლებრივი მითითებებით.

ყველა შემთხვევაში, მითითებები შეთანხმების დებულებებზე ან შეთანხმებაზე გაგებულ უნდა იქნას ისე, როგორც მითითებები მრავალმხრივი კონვენციის დებულებების შესაბამისად შეცვლილ შეთანხმებაზე, იმ პირობით, რომ მრავალმხრივი კონვენციის აღნიშნული დებულებები ამოქმედებულია.

მითითებები

მრავალმხრივი კონვენციისა და შეთანხმების სამართლებრივი ტექსტები იხილეთ ბმულზე:

მრავალმხრივი შეთანხმება:

<http://www.oecd.org/tax/treaties/multilateral-convention-to-implement-tax-treaty-related-measures-to-prevent-BEPS.pdf>

საქართველოში:

<https://mof.ge/5127>

ინდოეთში:

<https://www.incometaxindia.gov.in/Pages/international-taxation/dtaa.aspx>

საქართველოს მიერ 2019 წლის 29 მარტს და ინდოეთის მიერ 2019 წლის 25 ივნისს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას წარდგენილი პოზიციები იხილეთ [მრავალმხრივი კონვენციის დეპონიტარის \(OECD\) ვებ-გვერდზე](#).

განმარტება მრავალმხრივი კონვენციის დებულებების ამოქმედების თაობაზე

მრავალმხრივი კონვენციის დებულებები, არ ამოქმედდება იმავე თარიღით, რომლითაც ამოქმედდა შეთანხმების თავდაპირველი დებულებები. მრავალმხრივი კონვენციის ცალკეული დებულებები შესაძლოა ამოქმედდეს სხვადასხვა დროს, გადასახადის ტიპისა (წყაროსთან დაკავებული გადასახადი ან სხვა დარიცხული გადასახადები) და საქართველოსა და ინდოეთის მიერ მრავალმხრივი კონვენციის შესახებ პოზიციებში ასახული არჩევანის გათვალისწინებით.

რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტის წარდგენის თარიღები: 2019 წლის 29 მარტი საქართველოსთვის და 2019 წლის 25 ივნისი ინდოეთისთვის.

მრავალმხრივი კონვენციის ძალაში შესვლა: 2019 წლის 1 ივლისი საქართველოსთვის და 2019 წლის 1 ოქტომბერი ინდოეთისთვის.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მოცემული წინამდებარე დოკუმენტში, მრავალმხრივი კონვენციის დებულებები ამოქმედდება შეთანხმების დებულებების მიმართ:

საქართველოში:

- არა-რეზიდენტისთვის გადახდილ ან ჩათვლილ შემოსავალზე წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, როდესაც ამგვარი გადასახადების გადახდის ვალდებულების გამომწვევი ქმედება განხორციელდა 2020 წლის პირველ იანვარს ან მას შემდეგ;
- საქართველოს მიერ დარიცხული ყველა დანარჩენი გადასახადების მიმართ, იმ საგადასახადო პერიოდებში დარიცხულ გადასახადებზე, რომლებიც იწყება 2021 წლის პირველ იანვარს ან მას შემდეგ.

ინდოეთში:

- არა-რეზიდენტისთვის გადახდილ ან ჩათვლილ შემოსავალზე წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, როდესაც ამგვარი გადასახადების გადახდის ვალდებულების გამომწვევი ქმედება განხორციელდა 2020 წლის პირველ აპრილს ან მას შემდეგ;
- ინდოეთის მიერ დარიცხული ყველა დანარჩენი გადასახადების მიმართ, იმ საგადასახადო პერიოდებში დარიცხულ გადასახადებზე, რომლებიც იწყება 2020 წლის პირველ აპრილს ან მას შემდეგ.

შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა
და
ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას
შორის
შემოსავლებსა და კაპიტალზე
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და
გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის
შესახებ

საქართველოს მთავრობა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობა,

სურთ რა გააფორმონ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიზნით,

მრავალმხრივი კონვენციის მე-6 მუხლის მოცემული პირველი პუნქტი ემატება ამ შეთანხმებას:

მრავალმხრივი კონვენციის მუხლი 6 - გავრცელების სფეროში შემავალი
შეთანხმების მიზანი

სურთ რა, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა [წინამდებარე შეთანხმების] გავრცელების სფეროში შემავალ გადასახადებზე, გადასახადების გადაუხდელობის ან თავიდან არიდების მეშვეობით (საგადასახადო ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების სქემების ჩათვლით, რომლის მიზანია [წინამდებარე შეთანხმების] გათვალისწინებული შეღავათებით არაპირდაპირი სარგებლობა მე-3 იურისდიქციის რეზიდენტების მიერ) დაუბეგრაობის ან გადასახადების შემცირების შესაძლებლობის შექმნის გარეშე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

პირები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

ეს შეთანხმება ვრცელდება პირებზე, რომლებიც არიან ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები.

მუხლი 2

გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

- ეს შეთანხმება ვრცელდება ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების, ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფების, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ შემოსავლებსა და კაპიტალზე დაწესებულ გადასახადებზე, მათი გადახდის წესის მიუხედავად.
- შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომლითაც იბეგრება მთელი შემოსავალი, მთელი კაპიტალი, ან შემოსავლის ან კაპიტალის ცალკეული ელემენტი, უძრავი ან მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავლის ჩათვლით, საწარმოების მიერ გადახდილი მთელი ხელფასები ან ანაზღაურება.
- არსებული გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება:
 - საქართველოს შემთხვევაში:
 - მოგების გადასახადი;
 - საშემოსავლო გადასახადი;
 - ქონების გადასახადი;(შემდგომში “საქართველოს გადასახადი”).
 - ინდოეთის რესპუბლიკის შემთხვევაში:
 - საშემოსავლო გადასახადი მასზე დაკისრებული სანქციების ჩათვლით;
 - ქონების გადასახადი მასზე დაკისრებული სანქციების ჩათვლით;(შემდგომში “ინდოეთის გადასახადი”).
- ეს შეთანხმება ასევე ვრცელდება ყველა იდენტურ ან არსებითად ანალოგიურ გადასახადებზე, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ დაწესებულია არსებული გადასახადების დამატებით ან მათ ნაცვლად. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აცნობებენ თავიანთ შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობებში შეტანილი არსებითი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 3 ზოგადი განსაზღვრებები

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:
 - a) ტერმინი “საქართველო” ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიას, მათ შორის სახმელეთო სივრცეს, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეს მის ზემოთ, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას, მათ ფსკერს, წიაღს და საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, რომელზეც საქართველო ახორციელებს იურისდიქციასა და სუვერენიტეტს; ასევე მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე ზონას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფს, რომელთა მიმართ საქართველოს შეუძლია განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები და იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
 - b) ტერმინი “ინდოეთი” ნიშნავს ინდოეთის ტერიტორიას და მოიცავს ტერიტორიულ ზღვას და საჰაერო სივრცეს მის ზემოთ, ასევე ნებისმიერ სხვა საზღვაო ზონას რომელთა მიმართ, ინდოეთის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის თანახმად, აგრეთვე საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად, ინდოეთს გააჩნია სუვერენული უფლებები, სხვა უფლებები და იურისდიქცია;
 - c) ტერმინი “ხელშემკვრელი სახელმწიფო” და “მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო” ნიშნავს საქართველოს ან ინდოეთის რესპუბლიკას, კონტექსტის შესაბამისად;
 - d) ტერმინი “პირი” მოიცავს ფიზიკურ პირს, კომპანიას, პირთა გაერთიანებას და ნებისმიერ სხვა ერთეულს, რომელიც, შესაბამის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილება როგორც დასაბეგრი ერთეული ;
 - e) ტერმინი “კომპანია” ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ წარმონაქმნს ან ნებისმიერ სხვა ერთეულს, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის განიხილება როგორც კორპორაციული ერთეული ;
 - f) ტერმინი “ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო” და “მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო” შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ;
 - g) ტერმინი “საწარმო” მოიცავს ნებისმიერი სახის საქმიანობის წარმართვას;
 - h) ტერმინი “საერთაშორისო გადაზიდვა” ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას საზღვაო გემით ან საჰაერო ხომალდით, რომლის ექსპლუატაცია ხდება

ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საზღვაო გემის და საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის;

i) ტერმინი “კომპეტენტური ორგანო” ნიშნავს:

(i) საქართველოს შემთხვევაში: ფინანსთა სამინისტროს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;

(ii) ინდოეთის რესპუბლიკის შემთხვევაში: ფინანსთა მინისტრს, ინდოეთის მთავრობას ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;

j) ტერმინი “ნაციონალური პირი” ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან მიმართებაში ნიშნავს:

(i) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნება ან მოქალაქეობა და;

(ii) ნებისმიერ იურიდიულ პირს, ამხანაგობას ან ასოციაციას, რომელიც ამ სტატუსს იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

k) ტერმინი “გადასახადი” გულისხმობს კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს ან ინდოეთის გადასახადს, მაგრამ ან მოიცავს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დაუდევრობისთვის დაკისრებულ თანხას ან გადასახადებთან დაკავშირებით დაკისრებულ ჯარიმას ან საურავს;

l) ტერმინი “ფისკალური წელი” ნიშნავს:

(i) საქართველოს შემთხვევაში: კალენდარული წელიწადი, რომელიც იწყება 1 იანვარს;

(ii) ინდოეთის რესპუბლიკის შემთხვევაში: ფინანსური წელიწადი, რომელიც იწყება 1 აპრილს;

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმების ნებისმიერ დროს გამოყენებისას ნებისმიერ ტერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ დროს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ტერმინების განსაზღვრებებს უპირატესობა ენიჭებათ იმ განსაზღვრებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ გააჩნიათ ამ სახელმწიფოში მოქმედი სხვა სამართლებრივი ნორმებით.

მუხლი 4 რეზიდენტი

1. ამ შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი “ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი” ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, რეზიდენტობის, მართვის ადგილის ან ანალოგიური შინაარსის მქონე ნებისმიერი სხვა კრიტერიუმის საფუძველზე და ასევე მოიცავს ამ სახელმწიფოს, მის ნებისმიერ პოლიტიკურ ქვედანაყოფს ან ადგილობრივ ორგანოს. ეს ტერმინი, ამასთან, არ მოიცავს პირს, რომელიც ამ სახელმწიფოში დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მასში არსებულ წყაროდან ან იქ განთავსებული კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი არის ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - a) ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი; თუ მას მუდმივი საცხოვრებელი აქვს ორივე სახელმწიფოში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);
 - b) თუ შეუძლებელია იმ სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას აქვს სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ან თუ მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არც ერთ ამ სახელმწიფოში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს;
 - c) თუ ის ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე სახელმწიფოში ან არ ცხოვრობს არც ერთ მათგანში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის ნაციონალურ პირსაც ის წარმოადგენს;
 - d) თუ ის არის ორივე სახელმწიფოს ან არ არის არცერთი მათგანის ნაციონალური პირი, მაშინ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, პირი, გარდა ფიზიკური პირისა, არის ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, იგი ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მდებარეობს მისი ფაქტობრივი მართვის ადგილი. თუ მისი ფაქტობრივი მართვის ადგილის დადგენა შეუძლებელია, ამ საკითხს ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაარკვევენ. ამ ურთიერთშეთანხმების არ

არსებობის შემთხვევაში, ასეთი პირი არ განიხილება ხელშემკვრელი ქვეყნების რეზიდენტად და ვერ ისარგებლებს შეთანხმების უპირატესობებით.

მუხლი 5 მუდმივი დაწესებულება

1. ამ შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” ნიშნავს საქმიანობის ფიქსირებულ ადგილს, რომლის მეშვეობითაც საწარმოს საქმიანობა ხორციელდება მთლიანად ან ნაწილობრივ.
2. ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” მოიცავს, კერძოდ:
 - a) მართვის ადგილს;
 - b) ფილიალს;
 - c) ოფისს;
 - d) ფაბრიკას;
 - e) სახელოსნოს;
 - f) მაღაროს, ნავთობის, ან გაზის ჭაბურღილს, კარიერს ან ბუნებრივი რესურსების მოპოვების ნებისმიერ სხვა ადგილს;
 - g) გაყიდვების ადგილს;
 - h) საწყობს, იმ პირის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს სხვა პირებისათვის სასაწყობო ფართის შეთავაზებას, და
 - i) ფერმა, პლანტაცია ან სხვა ადგილი, სადაც ხორციელდება სასოფლოსამეურნეო, სატყეო, საპლანტაციო ან მასთან დაკავშირებული საქმიანობა.
3. a) სამშენებლო მოედანი ან სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი ან მათთან დაკავშირებული საზედამხედველო საქმიანობა მუდმივ დაწესებულებად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ამგვარი ობიექტი, პროექტი ან საქმიანობა ხორციელდება 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.
b) საწარმოს მიერ მომსახურების გაწევას, საკონსულტაციო მომსახურების ჩათვლით, რომელსაც ის ახორციელებს დაქირავებული პირების ან სხვა კადრების მეშვეობით, თუ ამ სახის საქმიანობა გრძელდება (იმავე ან მასთან დაკავშირებულ პროექტზე) ქვეყნის ფარგლებში 90 დღეზე მეტი პერიოდით ან პერიოდებით ნებისმიერ 12 თვიან პერიოდის განმავლობაში.
4. ამ მუხლის წინა დებულებათა მიუხედავად, ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” არ მოიცავს:
 - a) შენობა-ნაგებობების გამოყენებას საწარმოს კუთვნილი საქონლის ან შუალედური პროდუქტის მხოლოდ მარაგად შენახვის, დემონსტრირების ან დანიშნულების ადგილამდე მიტანის მიზნით;

- b) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან შუალედური პროდუქტის მარაგის დასაწყობებას მხოლოდ, მარაგად შენახვის დანიშნულების ადგილამდე მიტანის ან დემონსტრირების მიზნით;
- c) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან შუალედური პროდუქტის მარაგების შენახვას, მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მათი გადამუშავების მიზნით;
- d) საქმიანობის ფიქსირებული ადგილის გამოყენებას საწარმოსათვის საქონლის ან შუალედური პროდუქტის მხოლოდ შესყიდვის ან მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების მიზნით;
- e) საქმიანობის ფიქსირებული ადგილის გამოყენებას საწარმოსათვის მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- f) ფიქსირებული ადგილის ამ პუნქტის ა) - ე) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა ნებისმიერი ერთობლიობისათვის გამოყენებას, იმ შემთხვევაში თუ, ფიქსირებული ადგილის საქმიანობის ამგვარი ერთობლიობა არის მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების მიუხედავად, თუ პირი - გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტისა - ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედებს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს სახელით, მაშინ ეს საწარმო პირველად ხსენებულ სახელმწიფოში განიხილება მუდმივ დაწესებულებად ამ პირის მიერ საწარმოსათვის განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, თუ ამ პირს:

- a) აქვს და ჩვეულებრივ იყენებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში საწარმოს სახელით კონტრაქტის დადების უფლებამოსილებას, თუკი ის არ შემოიფარგლება მე-4 პუნქტში აღნიშნული საქმიანობებით, რომელიც, ამავე პუნქტის დებულებების შესაბამისად, ამ საქმიანობის ფიქსირებული ადგილის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში არ გადააქცევს საქმიანობის ასეთ ფიქსირებულ ადგილს მუდმივ დაწესებულებად; ან
- b) არ აქვს ასეთი უფლებამოსილება, მაგრამ ჩვეულებრივ გააჩნია პირველად ხსენებულ სახელმწიფოში საქონლის ან შუალედური პროდუქტის მარაგები, საიდანაც ის რეგულარულად ახორციელებს საქონლის ან შუალედური პროდუქტის მიწოდებას ამ საწარმოს სახელით;
- c) ჩვეულებრივ ახორციელებს შეკვეთებს სრულად ან თითქმის სრულად პირველად მოხსენიებულ სახელმწიფოში არსებული საწარმოსთვის;

6. ამ მუხლის წინა დებულებების მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს სადაზღვევო საწარმო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ახორციელებს გადაზღვევას, მიიჩნევა რომ გააჩნია მუდმივი დაწესებულება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ის ღებულობს მეორე ხელშემკვრელი

სახელმწიფოს ტერიტორიაზე სადაზღვევო პრემიას ან აზღვევს იქ არსებულ რისკს წარმომადგენლის, გარდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის, მეშვეობით, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ მუხლის მე-7 პუნქტი.

7. საწარმო არ განიხილება ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამ სახელმწიფოში საქმიანობას ახორციელებს ბროკერის, კომისიონერის ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, რომ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, როდესაც ამგვარი აგენტის საქმიანობა მთლიანად ან თითქმის მთლიანად დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის განხორციელებასთან ის არ იქნება მიჩნეული დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტად ამ პუნქტის მიზნებისათვის.
8. ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელიც არის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, აკონტროლებს ან კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კომპანიის მიერ ან რომელიც საქმიანობას ახორციელებს მეორე სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით), თავისთავად არ გადააქცევს ერთ-ერთ ამ კომპანიას მეორის მუდმივ დაწესებულებად.

მუხლი 6

შემოსავალი უძრავი ქონებიდან

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი (სასოფლო და სატყეო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით), შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ტერმინს “უძრავი ქონება” ექნება ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება. ტერმინი, ნებისმიერ შემთხვევაში, მოიცავს უძრავი ქონების მიმართ დამხმარე ხასიათის ქონებას, სასოფლო და სატყეო მეურნეობაში გამოყენებულ პირუტყვსა და მოწყობილობებს, უფლებებს, რომლებზეც ვრცელდება მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ზოგადი სამართლის დებულებები, უძრავი ქონების უზუფრუქტსა და უფლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ცვლადი ან ფიქსირებული ანაზღაურებების კომპენსაციას მინერალური წიაღისეულის, საბადოების და სხვა ბუნებრივი რესურსების დამუშავებისთვის ან დამუშავების უფლებისთვის. საზღვაო გემები და საჰაერო ხომალდები უძრავ ქონებად არ განიხილება.

- ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენების, გაქირავების ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე.
- ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებები ვრცელდება აგრეთვე საწარმოს უძრავი ქონებიდან და დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის დროს გამოყენებული უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებზე.

მუხლი 7

მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან

- ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ახორციელებს იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.
- ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ახორციელებს საქმიანობას იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლებოდა მიეღო, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ ცალკე გამოყოფილ, დამოუკიდებელ საწარმოს, იმ საწარმოს მიმართ სრულიად დამოუკიდებელი მოქმედებით, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც ის წარმოადგენს.
- მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დასაშვებია მუდმივი დაწესებულებისთვის გაწეული ხარჯების გამოქვითვა, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეს ხარჯები იმ სახელმწიფოშია გაწეული, რომელშიც განთავსებულია მუდმივი დაწესებულება, თუ მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, არ დაიშვება ამგვარი გამოქვითვები შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: იმ თანხების მიმართ, რომლებიც გადახდილია (ფაქტობრივი ხარჯების ანაზღაურების გარდა) მუდმივი დაწესებულების მიერ საწარმოს სათაო ოფისისათვის ან მისი ნებისმიერი სხვა ოფისისათვის როიალტის, საფასურის ან ნებისმიერი სხვა მსგავსი გადასახდელის გადახდის გზით პატენტის, ნოუ-ჰაუს ან სხვა უფლებების გამოყენების სანაცვლოდ, საკომისიოს სახით გადახდილი თანხები რაიმე სპეციფიკური მომსახურების ან მენეჯმენტის სანაცვლოდ ან

საბანკო დაწესებულების შემთხვევების გარდა, მუდმივი დაწესებულებისათვის ფულის სესხების საფუძველზე პროცენტის გადახდის გზით. აგრეთვე იმ თანხების მიმართ (ფაქტობრივად ხარჯების ანაზღაურების გარდა), რომელსაც მუდმივ დაწესებულებას უხდის საწარმოს სათაო ოფისი ან მისი ნებისმიერი სხვა ოფისი, როიალტის, საფასურის ან ნებისმიერი სხვა მსგავსი გადასახდელის გადახდის გზით პატენტის, ნოუ-ჰაუს ან სხვა უფლებების გამოყენების სანაცვლოდ, საკომისიოს სახით გადახდილი თანხები რაიმე სპეციფიკური მომსახურების ან მენეჯმენტის სანაცვლოდ ან საბანკო დაწესებულების შემთხვევების გარდა, საწარმოს სათაო ოფისის ან მისი ნებისმიერი სხვა ოფისისათვის ფულის სესხების საფუძველზე პროცენტის გადახდის გზით.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ჩვეულებრივ მიღებულია მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრა საწარმოს მთლიანი მოგების მის ცალკეულ ნაწილებზე განაწილების საფუძველზე, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტი ვერანაირად შეუშლის ხელს ხელშემკვრელ სახელმწიფოს განსაზღვროს დასაბეგრი მოგების ოდენობა ამგვარი განაწილების წესით; განაწილების მეთოდი ამასთან უნდა იყოს ისეთი, რომ შედეგი იმყოფებოდეს ამ მუხლის პრინციპებთან შესაბამისობაში.
5. მუდმივ დაწესებულებას არ მიეკუთვნება მოგება ამ მუდმივი დაწესებულების მიერ საწარმოსათვის საქონლის ან შუალედური პროდუქტის მხოლოდ შეძენის საფუძველზე.
6. წინა პუნქტების მიზნებიდან გამომდინარე, მუდმივი დაწესებულებისათვის მისაკუთვნიებული მოგება ყოველწლიურად განისაზღვრება ერთი და იგივე მეთოდით, თუ არ არის სხვაგვარად განსაზღვრის რაიმე დამაჯერებელი და საკმარისი მიზეზი.
7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება შეიცავს შემოსავლის ისეთ სახეობებს, რომლებიც ამ შეთანხმების სხვა მუხლებში ცალკეა განხილული, მათზე ამ მუხლის დებულებები გავლენას ვერ იქონიებს.

მუხლი 8

საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპანიის მიერ, საერთაშორისო გადაზიდვებში საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება იბეგრება მხოლოდ ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

- ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ასევე ვრცელდება პულში, ერთობლივ საქმიანობაში ან საერთაშორისო საოპერაციო სააგენტოების მუშაობაში მონაწილეობით მიღებულ მოგებაზე.

მუხლი 9

ურთიერთდამოკიდებული საწარმოები

- იმ შემთხვევაში როდესაც:
 - ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, ან
 - ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოსა და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, და ორივე შემთხვევაში ამ ორ საწარმოს შორის კომერციულ ან ფინანსურ ურთიერთობებში შექმნილი ან დაწესებული პირობები განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებსაც ადგილი ექნებოდა ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის ურთიერთობაში, მაშინ ნებისმიერი მოგება, რომელიც ამ პირობების არ არსებობის შემთხვევაში წარმოემდგინებოდა რომელიმე მათგანს, მაგრამ ამ პირობების არსებობის გამო არ წარმოემდგინებოდა ჩართულ იქნას ამ საწარმოს მოგებაში და დაიბეგროს შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს საწარმოს მოგებაში რთავს და შესაბამისად გადასახადით ბეგრავს იმ მოგებას, რომელთან მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო დაექვემდებარა დაბეგვრას ამ მეორე სახელმწიფოში, და ასეთი სახით ჩართული მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლება დარიცხოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს საწარმოს, თუ ამ ორ საწარმოს შორის იქნებოდა იგივე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების განსაზღვრის დროს სათანადო წესით უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ შეთანხმების სხვა დებულებებიც, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთთან გამართავენ კონსულტაციებს.

მუხლი 10 დივიდენდები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი დივიდენდები შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ამასთან, ამგვარი დივიდენდები შესაძლოა აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, ამ სახელმწიფოში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ, თუ დივიდენდების ბენეფიციური მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ ასეთი სახით გადახდილი გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების საერთო თანხის 10 პროცენტს. ეს პუნქტი არ იქონიებს გავლენას კომპანიის იმ მოგების დაბეგრაზე, საიდანაც დივიდენდები იქნა გადახდილი.
3. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი “დივიდენდი” ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, სხვა უფლებებიდან, თუ ისინი არ წარმოადგენენ მოგებაში მონაწილე სავალო მოთხოვნებს, ასევე შემოსავალს სხვა კორპორაციული უფლებებიდან, რომელიც ექვემდებარება ისეთივე საგადასახადო რეგულირებას, როგორსაც აქციებიდან მიღებული შემოსავალი, იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი კომპანია.
4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების ბენეფიციური მფლობელი არის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ახორციელებს ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას მასში განთავსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და ფლობა, რომლის საფუძველზეც ხდება დივიდენდების გადახდა უშუალოდ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან ასეთ ფიქსირებულ ბაზას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.
5. როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იღებს შემოსავალს ან მოგებას, ამ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია კომპანიას გადასახადი დააკისროს გადახდილ დივიდენდებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დივიდენდების გადახდა ხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტისთვის, ან როდესაც ფლობა, რომლის საფუძველზეც ხდება დივიდენდების გადახდა, უშუალოდ

უკავშირდება ამ მეორე სახელმწიფოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას. მეორე სახელმწიფოს ასევე არ შეუძლია დაბეგროს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადახდილი დივიდენდები ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოშობილი მოგებიდან ან შემოსავლიდან.

მუხლი 11 პროცენტი

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოშობილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ამასთან, ასეთი პროცენტი შეიძლება დაიბეგროს აგრეთვე იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოიქმნება, ამ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ პროცენტის ბენეფიციური მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ ასეთი სახით დაკისრებული გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროცენტის მთლიანი თანხის 10 პროცენტს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ გადახდილი პროცენტები არ იბეგრება ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ პროცენტების ბენეფიციურ მფლობელს წარმოადგენს და მიღებულია:
 - a) საქართველოს შემთხვევაში:
 - (i) მთავრობის, ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ; ან
 - (ii) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ; ან
 - (iii) ნებისმიერი სხვა სახელმწიფო სტრუქტურის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ინსტიტუტების მიერ, რომელთა განსაზღვრა და შეთანხმება მოხდება ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შორის წერილების გაცვლის გზით ; და
 - b) ინდოეთის რესპუბლიკის შემთხვევაში:
 - (i) მთავრობის, ან პოლიტიკური ქვედანაყოფის ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ; ან
 - (ii) ინდოეთის სარეზერვო ბანკის, ინდოეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკის, ინდოეთის უძრავი ქონების ეროვნული ბანკის მიერ; ან
 - (iii) ნებისმიერი სხვა დაწესებულების მიერ, რომელიც დროთაძღვრით შეთანხმებული იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შორის წერილების გაცვლის გზით.

4. ტერმინი “პროცენტი” ამ მუხლში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს ნებისმიერი სახის სავალო მოთხოვნიდან, მისი იპოთეკური უზრუნველყოფისა და მოვალის მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობის მიუხედავად. კერძოდ, შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და ობლიგაციებიდან ან სავალო ვალდებულებებიდან მათზე დარიცხული პრემიებისა და მოგებების ჩათვლით. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ჯარიმები დაგვიანებულ გადახდაზე პროცენტად არ განიხილება.
5. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ პროცენტის ბენეფიციური მფლობელი არის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიშობა პროცენტი იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ახორციელებს ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ განთავსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და სავალო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ხდება პროცენტის გადახდა, უშუალოდ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან ასეთ ფიქსირებულ ბაზას. შესაბამისად ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.
6. პროცენტი ითვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოშობილად, თუ გადამხდელი არის ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ პროცენტის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, რომელთან დაკავშირებული ვალდებულებიდანაც წარმოიშვა გადახდილი პროცენტი და ამ პროცენტის ხარჯის მატარებელია ასეთი მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, მაშინ პროცენტი ჩაითვლება იმ სახელმწიფოში წარმოშობილად, რომელშიც მდებარეობს ასეთი მუდმივი დაწესებულება ან ასეთი ფიქსირებული ბაზა.
7. თუ პროცენტის გადამხდელსა და ბენეფიციურ მფლობელს შორის, ან ორივე მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო, პროცენტის თანხა, იმ სავალო ვალდებულების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ბენეფიციურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახდელი თანხის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 12

როიალტი და ტექნიკური მომსახურების გადასახდელი

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი და ტექნიკური მომსახურების გადასახდელი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ამასთან, როიალტი ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელი შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოიქმნება, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ როიალტის ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელის ფაქტობრივი მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს როიალტის ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელის მთლიანი თანხის 10 პროცენტს.
3. a) ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი “როიალტი” ნიშნავს გადახდის ნებისმიერ სახეს, რომელიც ანაზღაურების სახით მიიღება ნებისმიერ ლიტერატურულ, ხელოვნების ან მეცნიერულ ნამუშევარზე საავტორო უფლებით სარგებლობისათვის ან სარგებლობის უფლებისათვის, მათ შორის კინემატოგრაფიული ფილმების, ნებისმიერი პატენტის, სასაქონლო ნიშნის, პროექტის ან მოდელის, გეგმის, საიდუმლო ფორმულის ან პროცესის, ან სამრეწველო, კომერციული ან მეცნიერულუ დანადგარების გამოყენების ან გამოყენების უფლებისთვის, ასევე სამრეწველო, კომერციული ან მეცნიერული გამოცდილების შემცველი ინფორმაციით სარგებლობისათვის ან სარგებლობის უფლებისთვის.
b) ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი “ტექნიკური მომსახურების გადასახდელი” ნიშნავს გადასახადის ნებისმიერ სახეს, გარდა მე-14 და მე-15 მუხლებში აღნიშნულისა, ადმინისტრაციული, ტექნიკური ან საკონსულტაციო მომსახურების გათვალისწინებით, მათ შორის გატარებული ტექნიკური ან სხვა პერსონალის მიერ.
4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება თუ როიალტის ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელის ბენეფიციური მფლობელი არის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალტი ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელი იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ განლაგებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და უფლება ან ქონება, რის საფუძველზეც ხდება როიალტის ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელის გადახდა, უშუალოდ არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან ასეთ

ფიქსირებულ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

5. a) როიალტი და ტექნიკური მომსახურების გადასახდელი წარმოშობილად ჩაითვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოში, როდესაც გადამხდელს წარმოადგენს სახელმწიფო, პოლიტიკური ქვედანაყოფი, პოლიტიკურადმინისტრაციული ქვედანაყოფი, ადგილობრივი ხელისუფლება, ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ როიალტის ან გადასახადის ტექნიკურ მომსახურებაზე გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება და ამგვარი როიალტის ხარჯის მატარებელია ასეთი მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, მაშინ ჩაითვლება, რომ მსგავსი როიალტი წარმოიქმნა იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა.

b) თუ როიალტი ან ტექნიკური მომსახურების გადასახდელი რომელიც განსაზღვრულია ქვეპუნქტ (a)-ში, არ წარმოიშვება არცერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, და როიალტის გამოყენება, ან გამოყენების უფლება, ქონების უფლება, ან ტექნიკური მომსახურების გაწევის უფლება ეკუთვნის ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, როიალტი ან გადასახადი ტექნიკურ მომსახურებაზე წარმოშობილად ჩაითვლება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

6. თუ გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის, ან ორივე მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების გამო, როიალტის ან ტექნიკური მომსახურების გადასახადის თანხა, რომელიც დაკავშირებულია სარგებლობასთან, უფლებასთან ან ინფორმაციასთან, რომლის საფუძველზე ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ბენეფიციურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში გადასახდელი თანხის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 13

შემოსავლები კაპიტალის მატებიდან

1. შემოსავლები, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე მე-6 მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონების გასხვისებიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. შემოსავლები მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, ან შემოსავლები მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული ფიქსირებული ბაზის კომერციული ქონების ნაწილს, ასეთი მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთად) ან ფიქსირებული ბაზის გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
3. საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების, ან მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.
4. შემოსავლები კომპანიის სააქციო კაპიტალის გასხვისებიდან, რომლის საკუთრებასაც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოადგენს ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული უძრავი ქონება, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში.
5. მე-4 მუხლში აღნიშნულის გარდა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის აქციების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში.
6. ამ მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნული ქონების გარდა, შემოსავლები ნებისმიერი ქონების გასხვისებიდან დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

მუხლი 14

დამოუკიდებელი პირადი მომსახურება

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ პროფესიული მომსახურების ან დამოუკიდებელი ხასიათის მქონე სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შემოსავალი შეიძლება ასევე დაიბეგროს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში:
 - a) ფიზიკურ პირს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია რეგულარულად ხელმისაწვდომი ფიქსირებული ბაზა თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში, მაგრამ შემოსავლის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება ამ ფიქსირებულ ბაზას; ან
 - b) ფიზიკური პირი იმყოფება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში პერიოდით ან პერიოდებით, რომელთა ხანგრძლივობა შეადგენს ან ჯამში აღემატება 183 დღეს ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში, მაგრამ შემოსავლის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიღებულია ამ მეორე სახელმწიფოში გაწეული საქმიანობიდან.
2. ტერმინი “პროფესიული მომსახურება” მოიცავს, კერძოდ: დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიტერატურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო და პედაგოგიურ საქმიანობას, აგრეთვე ექიმების, ადვოკატების, ინჟინრების, არქიტექტორების, სტომატოლოგების და ბუღალტრების დამოუკიდებელ საქმიანობას.

მუხლი 15

დამოუკიდებელი პირადი მომსახურება

1. ამ შეთანხმების მე-16, მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებით მუშაობით მიღებული ხელფასი, გასამრჯელო და სხვა მსგავსი ანაზღაურება დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დაქირავებით მუშაობა არ განხორციელებულა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება ამგვარი სახით, მაშინ ასეთი ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ

სახელმწიფოში განხორციელებული დაქირავებით მუშაობიდან მიღებული ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში თუ:

a) ანაზღაურების მიმღები იმყოფება მეორე სახელმწიფოში პერიოდით, ან პერიოდებით, რომელთა საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება 183 დღესწინამდებრივ თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება მოცემულ ფისკალურ წელს, და

b) ანაზღაურება გაიცემა დამქირავებლის მიერ, ან მისი სახელით, რომელიც არ წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს, და

c) ანაზღაურების ხარჯის მატარებელი არ არის მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე სახელმწიფოში.

- ამ მუხლის წინა დებულებების მიუხედავად, ანაზღაურება, რომელსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებულ საზღვაო გემებზე ან საჰაერო ხომალდებზე განხორციელებული დაქირავებით მუშაობისათვის, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში.

მუხლი 16

დირექტორთა ჰონორარები

დირექტორთა ჰონორარები და სხვა მსგავსი ანაზღაურება, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 17

ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები

- ამ შეთანხმების მე-14 და მე-15 მუხლების დებულებების მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი, კერძოდ, როგორც თეატრის, კინოს, რადიოს ან ტელევიზიის მსახიობი, ან მუსიკოსი, ან როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი, ერიცხება არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი, ამ

შეთანხმების მე-7, მე-14 და 15 მუხლების დებულებების მიუხედავად, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენის საქმიანობა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 დებულებები არ ვრცელდება, ხელოვნების მუშაკების და სპორტსმენების მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი საქმიანობა დაფინანსებულია ერთ-ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საზოგადოებრივი ფონდების, პოლიტიკური ქვედანაყოფის ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. თუ საქმიანობა ხორციელდება ამგვარი სახით, ამ შემთხვევაში, მიღებული შემოსავალი უნდა დაიბეგროს მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი.

მუხლი 18 **პენსიები**

ამ შეთანხმების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, წარსულში დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურება, დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 19 **საჯარო სამსახური**

1. a) ხელფასი, გასამრჯელო და სხვა მსგავსი ანაზღაურება, რომელსაც ხელშემკვრელი სახელმწიფო, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფი ან ადგილობრივი ორგანო უხდის ფიზიკური პირს ამ სახელმწიფოს, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის, ან ადგილობრივი ორგანოსთვის გაწეული სამსახურისათვის, დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;
b) ამასთან, ამგვარი ხელფასი, გასამრჯელო და სხვა მსგავსი ანაზღაურება დაიბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ სამსახური გაწეულ იქნა ამ სახელმწიფოში და ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს:
 - (i) არის ამ სახელმწიფოს ნაციონალური პირი; ან

(ii) არ გახდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ სამსახურის გაწევის მიზნით.

2. a) მიუხედავად პირველი პუნქტის დებულებებისა, პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურება, რომლის გადახდა ხდება ფიზიკური პირისათვის ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან, ამ სახელმწიფოს, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ადგილობრივი ორგანოსთვის გაწეული სამსახურისათვის, დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;
b) ამასთან, ასეთი პენსია დაიბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტსა და ნაციონალურ პირს.
3. ამ შეთანხმების მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების დებულებები გამოიყენება ხელფასის, გასამრჯელოს, სხვა მსგავსი ანაზღაურებისა და პენსიების მიმართ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ გაწეული კომერციული საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

მუხლი 20 **სტუდენტები**

1. სტუდენტი, რომელიც არის ან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში უშუალოდ ჩასვლამდე იყო ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, და რომელიც ამ მეორე სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გრანტის, სესხისა და სტიპენდიის გარდა, თავისუფლდება გადასახადისგან:
a) მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მყოფი პირის მიერ გადახდილ გადასახადზე, რომელიც განკუთვნილია მისი ცხოვრების, განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად; და
b) ანაზღაურებაზე, რომელსაც ის იღებს დასაქმებიდან, რომელსაც ახორციელებს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ამგვარი სამუშაო პირდაპირ უკავშირდება მის სწავლას.
2. ამ მუხლის სარგებელი ვრცელდება მხოლოდ დროის ისეთ მონაკვეთზე, რომელიც მიზანშეწონილი იქნება განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; მაგრამ არ ვრცელდება პირზე რომელიც ამ მეორე

ხელშემკვრელ სახელმწიფოში იმყოფება ექვს უწყვეტ წელზე მეტი დროის განმავლობაში.

მუხლი 21

პროფესორები, მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები

1. პროფესორი, მასწავლებელი ან მეცნიერ-მუშაკის მიერ, რომელიც წარმოადგენს ან წარმოადგენდა ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, უშუალოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ჩასვლამდე, საგანმანათლებლო საქმიანობის, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ან ორივეს ერთად განხორციელებისას მიღებული შემოსავალი, უნივერსიტეტში, კოლეჯსა ან სხვა მსგავს ავტორიზებულ დაწესებულებაში, გათავისუფლებული უნდა იქნას გადასახადისგან ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში თუ ამგვარი საგანმანათლებლო ან კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ჩამოსვლიდან არა უმეტეს ორი წლისა.
2. ეს მუხლი არ იქნება გამოყენებული კვლევითი სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავალზე, თუ ასეთი კვლევა ტარდება არა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ პირის ან პირთა მიერ კერძო სარგებლის მიღების მიზნით.
3. ამ მუხლის მიზნებისთვის, პირი განსაზღვრული უნდა იქნას ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტ პირად, თუ იმ ფისკალურ წელს ან იმ წლის წინამდებარე ფისკალურ წელს როდესაც ის ეწვია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს, იგი განიხილებოდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტ პირად.

მუხლი 22

სხვა შემოსავლები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლების სახეები, რომლებიც არ არის განხილული ამ შეთანხმების წინა მუხლებში, მათი წარმოშობის ადგილის მიუხედავად, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გავრცელდება შემოსავლებზე, გარდა ამ შეთანხმების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლებისა, თუ ასეთი შემოსავლების მიმღები წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს და თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ განთავსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ამ მეორე

სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით, და უფლება ან ქონება, რომლებთან დაკავშირებით ხდება შემოსავლის გადახდა ნამდვილად არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან ფიქსირებულ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ლატარიებიდან, კროსვორდებიდან, ჯირითიდან, მათ შორის დოლებიდან, კარტის ან სხვა ნებისმიერი თამაშიდან, აზარტული თამაშებიდან ან ნებისმიერი სახის ფსონიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 23

კაპიტალი

1. კაპიტალი, წარმოდგენილი ამ შეთანხმების მე-6 მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონებით, რომელსაც ფლობს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და რომელიც მდებარეობს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. კაპიტალი, წარმოდგენილი მოძრავი ქონებით, რომელიც ქმნის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, ან წარმოდგენილი მოძრავი ქონებით, რომელიც მიეკუთვნება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით ხელმისაწვდომ ფიქსირებულ ბაზას, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
3. კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილია ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპანიის მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო გემებითა და საჰაერო ხომალდებით, ან მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, დაიბეგრება მხოლოდ ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში.
4. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კაპიტალის ყველა სხვა ელემენტი დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 24

ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა

1. საქართველოს შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა მოხდება შემდეგნაირად:
 - a) როდესაც საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს, ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს ინდოეთში, საქართველო დაუშვებს:
 - i) ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას, რომელიც ინდოეთში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ტოლია;
 - ii) ამ რეზიდენტის კაპიტალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას, რომელიც ინდოეთში კაპიტალზე გადახდილი გადასახადის ტოლია. ასეთი გამოქვითვა, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხებს, რომელიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ შემოსავალსა და კაპიტალზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და განაკვეთებით.
 - b) თუ ამ შეთანხმების ნებისმიერი დებულების შესაბამისად, საქართველოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი ან მის მფლობელობაში არსებული კაპიტალი გადასახადისგან გათავისუფლებულია საქართველოში, ამის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალსა და კაპიტალზე გადასახადის მოცულობის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღოს დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი ან კაპიტალი.
2. ინდოეთის შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა მოხდება შემდეგნაირად:
 - a) როდესაც ინდოეთის რეზიდენტი იღებს შემოსავალს, ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს საქართველოში, ინდოეთი დაუშვებს:
 - i) ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას რომელიც საქართველოში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ტოლია;
 - ii) ამ რეზიდენტის კაპიტალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას, რომელიც საქართველოში კაპიტალზე გადახდილი გადასახადის ტოლია. ასეთი გამოქვითვა, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალზე გადასახადის ან კაპიტალზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც გამოქვითვამდე იყო დაანგარიშებული და მიეწერება, ვითარების შესაბამისად, შემოსავალს ან კაპიტალს, რომელიც შეიძლება დაბეგრილიყო საქართველოში.
 - b) თუ ამ შეთანხმების ნებისმიერი დებულების შესაბამისად, ინდოეთის რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი ან მის მფლობელობაში არსებული კაპიტალი გადასახადისგან გათავისუფლებულია ინდოეთში, ამის მიუხედავად, ინდოეთს შეუძლია ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალსა და

კაპიტალზე გადასახადის მოცულობის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღოს დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი ან კაპიტალი.

მუხლი 25

დისკრიმინაციის თავიდან აცილება

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნაციონალური პირები არ დაექვემდებარებიან მეორე სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან ნებისმიერ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენციის თვალსაზრისით. ეს დებულება, ამ შეთანხმების პირველი მუხლის დებულებების მიუხედავად, ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები.
2. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში კუთვნილი მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა არ უნდა განხორციელდეს ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე იმ საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ახორციელებენ ამ მეორე სახელმწიფოში. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებდეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტების რომელიმე გადასახადისგან გათავისუფლებას, შემცირებას მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე, რომლებსაც ის ანიჭებს საკუთარ რეზიდენტებს. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს რაიმე დაბრკოლებას უქმნიდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოს დაბეგვრის მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპანიის მუდმივი დაწესებულების მოგება, რომელიც წარმოიშობა იმ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, უფრო მაღალი განაკვეთით ვიდრე ის რომელსაც იგი გამოიყენებდა ამ პირველადხსენებულ სახელმწიფოში არსებული დაწესებულების მიმართ, რომელიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევა და არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში მე-7 მუხლის მე-3 პუნქტთან.
3. იმ შემთხვევების გარდა, რომლებზეც ამ შეთანხმების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები ვრცელდება, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი, როიალტი, ტექნიკური მომსახურების გადასახდელები ან სხვა სახის ხარჯები, ამ საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნით ექვემდებარება იგივე პირობით გამოქვითვას, როგორც ეს მოხდებოდა პირველად ხსენებული

სახელმწიფოს რეზიდენტთან მიმართებაში. ანალოგიურად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს ნებისმიერი დავალიანება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ, ამ საწარმოს დასაბეგრი კაპიტალის განსაზღვრის მიზნით, ექვემდებარება იგივე პირობებით გამოქვითვას, როგორც ეს მოხდებოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტის შემთხვევაში.

4. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოები, რომელთა კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი ან რამდენიმე რეზიდენტის მიერ, პირველად ხსენებულ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებაროს განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ პირველად ხსენებული სახელმწიფოს სხვა მსგავსი საწარმოები.
5. ამ მუხლის დებულებები, მიუხედავად მე-2 მუხლის დებულებებისა, ვრცელდება ნებისმიერი სახისა და ფორმის გადასახადებზე.

მუხლი 26

ურთიერთშეთანხმების პროცედურა

1. თუ პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას ამ შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ, მას შეუძლია ამ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული ზომებისგან დამოუკიდებლად, თავისი საქმე განსახილველად წარადგინოს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს; ან, თუ მისი შემთხვევა ექვემდებარება ამ შეთანხმების 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას, იმ სახელმწიფოში, რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს. განცხადება წარდგენილ უნდა იქნას ამ შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ დაბეგვრის გამომწვევი მოქმედების შესახებ პირველი შეტყობინებიდან სამი წლის განმავლობაში.
2. კომპეტენტური ორგანო, თუ განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის და არ შეუძლია საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა დამოუკიდებლად, უნდა შეეცადოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი ამ შეთანხმების დებულებებთან შეუსაბამოდ დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი მიღწეული შეთანხმება ექვემდებარება აღსრულებას ხელშემკვრელ

სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული დროითი შეზღუდვების მიუხედავად.

3. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეცდებიან გადაჭრან ნებისმიერი სირთულე ან გაუგებრობა, რომლებიც წარმოიშვება ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენების დროს. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, მათ აგრეთვე შეუძლიათ ერთმანეთთან კონსულტაციების წარმოება ამ შეთანხმებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც.
4. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს, წინა პუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმების მიღწევის მიზნით, შეუძლიათ ერთმანეთთან პირდაპირი კონტაქტი იქონიონ, მათ შორის, მათი ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობით შემდგარი ერთობლივი კომისიის საშუალებით.

მუხლი 27

ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები გაცვლიან იმ ინფორმაციას (დოკუმენტების ან დოკუმენტების სერთიფიცირებული ასლების ჩათვლით) რომელიც აუცილებელია ამ შეთანხმების დებულებების ან შიდა სახელმწიფოებრივი ნორმების მოქმედებისათვის და ხელშემკვრელი სახელმწიფოების, მათი პოლიტიკური ქვედანაყოფების ან მათი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახელით დაწესებული იქნა იმ გადასახადებთან მიმართებაში, რომლებზეც ვრცელდება ამ შეთანხმების დებულებები, თუ შიდა კანონმდებლობების მიხედვით დაბეგვრა წინააღმდეგობაში არ მოდის შეთანხმებასთან. ინფორმაციის გაცვლა არ არის შეზღუდული ამ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლებით.
2. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად, ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და მათი გაცნობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ან უფლებამოსილ ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომელთა კომპეტენციას წარმოადგენს იმ გადასახადების დაკისრება ან აკრეფა, იძულებითი წესით ამოღება ან სასამართლო დევნა ან იმ გადასახადებთან დაკავშირებული სარჩელის განხილვა, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება. ეს პირები ან ორგანოები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ მხოლოდ დასახელებული მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამოყენება

სასამართლოს ღია სხდომაზე ან სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისათვისაც, თუ ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამგვარი მიზნებისათვის, ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და ინფორმაციის მიმწოდებელი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება:
 - a) გაატაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;
 - b) მიაწოდოს ინფორმაცია, (დოკუმენტების ან დოკუმენტების სერთიფიცირებული ასლების ჩათვლით) რომლის მოპოვება არ არის ნებადართული ამ ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკით;
 - c) გასცეს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გაამჟღავნოს ნებისმიერი სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება ან სავაჭრო პროცესი ან ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ან საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ პრინციპებს, კერძოდ, მონაცემთა დაცვის სფეროში.
4. თუ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო მოითხოვს ინფორმაციას ამ მუხლის შესაბამისად, მეორე სახელმწიფომ უნდა მოიძიოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მიუხედავად იმისა სჭირდება თუ არა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეს ინფორმაცია თავისი საგადასახადო მიზნებისათვის. წინა წინადადებაში ჩამოყალიბებულ ვალდებულებაზე მე-3 პუნქტის შეზღუდვები გავრცელდება, მაგრამ ეს შეზღუდვები არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მეორე სახელმწიფოს ეს ინფორმაცია შიდა სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის არ ესაჭიროება.
5. მე-3 პუნქტის დებულებები, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ხელშემკვრელი ქვეყნისთვის უარის თქმის საფუძველი, მხოლოდ იმიტომ რომ ინფორმაცია ბანკის, სხვა ფინანსური ინსტიტუტის, აგენტის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის სტატუსის მქონე პირის განკარგულებაშია ან იგი დაკავშირებულია პირის საკუთრების უფლების ინტერესებთან.

მუხლი 28
დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და
საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები

ეს შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა საგადასახადო პრივილეგიებზე, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმების ან სპეციალური შეთანხმებების დებულებების საფუძველზე.

მუხლი 29
დახმარება გადასახადების აკრეფაში

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები გადასახადების მოთხოვნის შესრულების მიზნით გაუწევენ ერთმანეთს დახმარებას. ეს დახმარება არ შემოიფარგლება პირველი და მე-2 მუხლით. ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების გზით დაარეგულირონ წინამდებარე მუხლის გამოყენება.
2. ტერმინი “საგადასახადო მოთხოვნა” ამ მუხლში გამოყენებისას, ნიშნავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების ან ადგილობრივი ორგანოების მიერ დაწესებულ ნებისმიერი სახის გადასახადებთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებას, იმ პირობით, რომ, ასეთი გადასახადები არ მოდის წინააღმდეგობაში შეთანხმების დებულებებთან ან ნებისმიერ სხვა შეთანხმებასთან, რომლის მონაწილეებიც არიან ხელშემკვრელი სახელმწიფოები, ისევე როგორც პროცენტი, ადმინისტრაციული ჯარიმები და ამ ვალდებულებების ამოღებისა და შესრულების დროს გაწეული ხარჯები.
3. როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნებთან დაკავშირებული მოთხოვნა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უნდა იყოს განხორციელებული და ეს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც სხვა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის უფლებამოსილი ხელი შეუშალოს ამ საგადასახადო ვალდებულების ამოღებას, მაშინ ასეთი ვალდებულება მეორე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით, ამოღებული იქნება სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ. სხვა სახელმწიფო წარადგენს ამ საგადასახადო დავალიანებას მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნების

შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება ამ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

4. საგადასახადო მოთხოვნა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, მიღებული უნდა იქნას მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ შესაბამისი აღსრულების მეთოდების გამოყენებისთვის, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს მოთხოვნას, როდესაც სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით ვალდებულია გამოიყენოს საგადასახადო აღსრულების მეთოდები მის შესასრულებლად. ეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, გამოიყენებს საგადასახადო აღსრულების ისეთ მეთოდებს, რომელსაც იგი გამოიყენებდა ამ სახელმწიფოში წარმოშობილი საგადასახადო მოთხოვნის შესასრულებლად, მიუხედავად იმისა თუ იმ დროისათვის, როდესაც გამოყენებული იქნა ამგვარი მეთოდები, პირველად ხსენებულ სახელმწიფოში ეს საგადასახადო მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა საგადასახადო აღსრულების მეთოდების გამოყენებას, ან ეხებოდა პირს, რომელსაც უფლება ჰქონდა მისი შესრულებისათვის ხელი შეეშალა.
5. მიუხედავად მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებებისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად მიღებული საგადასახადო ვალდებულების მოთხოვნასთან დაკავშირებით არ ექვემდებარება დროში შეზღუდვას ან არ მიენიჭება რაიმე უპირატესობა ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მისი შინაარსიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მე-3 და მე-4 პუნქტების მიზნებიდან გამომდინარე, მიღებულ საგადასახადო მოთხოვნას ამ სახელმწიფოს მიერ არ მიენიჭება არავითარი პრიორიტეტი მეორე სახელმწიფოში, ამ პირველად ხსენებულ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.
6. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნის წარმოქმნის, ხანდაზმულობის და მისი თანხის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული გამოძიება წარმოებული უნდა იქნეს ამ სახელმწიფოს სასამართლოს ან მის ადმინისტრაციულ უწყებაში. ამ მუხლის არცერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ანიჭებს რაიმე უპირატესობას ან წარმოქმნის დამატებით უფლებას წარმართოს გამოძიება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული უწყების წინაშე.
7. როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო მე-3 ან მე-4 პუნქტის გათვალისწინებით მეორე სახელმწიფოს მიმართავს საგადასახადო მოთხოვნების თაობაზე, და მანამდე, სანამ მეორე მხარე ამ მოთხოვნას

შეასრულებს და გადასცემს პირველ სახელმწიფოს, ეს საგადასახადო მოთხოვნა აღარ განიხილება: ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა აღარ განიხილება პირველად ხსენებული სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნად, რომელიც, ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება შესრულებას და ეკუთვნის პირს, რომელსაც არ შეუძლია ხელი შეუშალოს მის ამოღებას, ან ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა აღარ განიხილება პირველად ხსენებული სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნად, რომლის მიმართ ამ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს მისი ამოღების ღონისძიებების გატარება, პირველად ხსენებულმა სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს ამ ფაქტის შესახებ და მეორე სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე უნდა შეწყვიტოს ან დროებით შეაჩეროს მოთხოვნის შესრულება.

8. ამ მუხლის არცერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს წარმოქმნის ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვალდებულებას:
- a) გაატაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან;
 - b) გაატაროს ღონისძიებები, რომლების ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკის უსაფრთხოებას (საზოგადოებრივ წესრიგს);
 - c) გაუწიოს დახმარება იმ შემთხვევებში, როდესაც მეორე ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, არ უზრუნველყო ყველა ღონისძიებების გატარება, რომლებიც გამოიყენება საგადასახადო მოთხოვნის ამოღების ან შესრულების დროს;
 - d) გაუწიოს დახმარება იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ხარჯები აშკარად არათანაზომიერია მეორე სახელმწიფოს მიერ მიღებულ სარგებელის მიმართ.

მუხლი 30

შელავათებით სარგებლობის შეზღუდვა

[**შეიცვალა მრავალმხრივი კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე]**

[1. წინამდებარე შეთანხმებმა არ უნდა უშლიდეს ხელს გადასახადების დამალვისა ან გადასახადებისგან თავის არიდების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების დებულებების მოქმედებას.]

2. ამ შეთანხმებით წარმოშობილი სარგებლის გამოყენების უფლება არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ხელშემკვრელი სახელმწიფოს იმ რეზიდენტებისათვის ან არ უნდა ვრცელდებოდეს ნებისმიერ გარიგებებზე რომლის მონაწილეა ეს პირი, თუ ამგვარი რეზიდენტობის ან გარიგების მთავარი ან ერთერთი მთავარი მიზანი იყო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობა, რომელთა მიღება სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა.

3. ამ მუხლის დებულებები უნდა ვრცელდებოდეს იურიდიული პირების არაკეთილსინდისიერ კომერციულ საქმიანობაზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს უარს ეუბნებიან ამ შეთანხმებით განსაზღვრული შეღავათის მიღებაზე მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მეორე სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა აცნობონ პირველად ხსენებულ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას.]

მრავალმხრივი კონვენციის მე-7 მუხლის მოცემული პირველი პუნქტი მოქმედებს და ანაცვლებს შეთანხმების დებულებებს შეუთავსებლობის შემთხვევაში:

მუხლი 7 - საგადასახადო ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების აღკვეთა

(დებულება ძირითადი მიზნების ტესტის თაობაზე)

[*შეთანხმების*] ნებისმიერი დებულების მიუხედავად, მის ფარგლებში გათვალისწინებული შეღავათი არ გავრცელდება შემოსავლის ან კაპიტალის ელემენტზე, თუ ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით, დასაბუთებულად დგინდება, რომ ნებისმიერი სქემის ან ტრანზაქციის, რომლის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღება ეს შეღავათი, ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ამ შეღავათით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასტურდება, რომ ამგვარ გარემოებებში აღნიშნული შეღავათის მინიჭება შეესაბამება [*შეთანხმების*] შესაბამისი დებულებების არსსა და მიზანს.

მუხლი 31 ძალაში შესვლა

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო დიპლომატიური არხების საშუალებებით ერთმანეთს წერილობით აცნობებენ ამ შეთანხმების ძალაში

შესასვლელად საჭირო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შესახებ.

2. ეს შეთანხმება ძალაში შედის უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან რომელშიც დადასტურებული იქნება ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭირო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულება.
3. ეს შეთანხმება იმოქმედებს:
 - a) საქართველოს შემთხვევაში:
 - i) წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, იმ შემოსავლებზე ან კრედიტზე, რომელიც მიღებული იქნა ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ იანვარს ან მის შემდეგ;
 - ii) შემოსავალზე და კაპიტალზე დაწესებული სხვა გადასახადების მიმართ ნებისმიერ კალენდარული წელს, რომელიც იწყება ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ იანვარს ან მის შემდეგ.
 - b) ინდოეთის შემთხვევაში:
 - i) წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, იმ შემოსავლებზე ან კრედიტზე, რომელიც მიღებული იქნა ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ აპრილს ან მის შემდეგ;
 - ii) შემოსავალზე და კაპიტალზე დაწესებული სხვა გადასახადების მიმართ, ნებისმიერ ფისკალურ წელს, რომელიც იწყება ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ აპრილს ან მის შემდეგ.

მუხლი 32

მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაშია ვიდრე ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ შეწყვეტს მის მოქმედებას. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება მისი ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, კალენდარული წლის დასრულებამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე დიპლომატიური არხებით წერილობითი შეტყობინების საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმება წყვეტს მოქმედებას:

- a) საქართველოს შემთხვევაში:
 - i) წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, იმ შემოსავლებზე, რომელიც მიღებული იქნა მოსული შეტყობინებიდან წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ იანვარს ან მის შემდეგ;

ii) შემოსავალზე და კაპიტალზე დაწესებული სხვა გადასახადების მიმართ ნებისმიერ საგადასახადო წელს, რომელიც იწყება წერილობითი შეტყობინების წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ იანვარს ან მის შემდეგ; და

b) ინდოეთის შემთხვევაში:

i) წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, იმ შემოსავლებზე ან კრედიტზე, რომელიც მიღებული იქნა წერილობითი შეტყობინების მიღების წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ აპრილს ან მის შემდეგ;

ii) შემოსავალზე და კაპიტალზე დაწესებული სხვა გადასახადების მიმართ ნებისმიერ ფისკალურ წელს, რომელიც იწყება წერილობითი შეტყობინების წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ აპრილს ან მის შემდეგ.

რის დასტურადაც ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 2011 წლის ----- ქ. -----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, ჰინდი და ინგლისურ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით